# საქართველო

**მიიღება განცხადებები**

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
**კონტორის ტელეფ. 15—73.**

ყოველდღიური გაზეთი · შაბათი, თებერვლის 28 1920 წ. № 45 · ფასი 4 მან.


ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე თეოდორეს ასული, შვილებით, გიორგი კონსტანტინე ვაშაკიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 29 თებერვალს, დილის 12 ნახ. ს. გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა ექიმ

## ექვთიმე ვაშაკიძის

სულის მოსახსენებლად. 2903 1—1

---

კვირას, თებერვლის 29-ს გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულების გამო

## იულია ივანეს ასული გურამიშვილის

სულის მოსახსენებლად მამა დავითის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დილის 12 ს. რასაც აუწყებენ შვილი ზაქარია დავითის ძე ცოლშვილით, ქალიშვილები ნინა დავითის ასული ქიქოძე და ანასტასია დავითის ასული ჯანდიერი შვილებით 2907 0—1

---

ოთხშაბათს თებერვლის 25 ს უეცრივ გარდაიცვალა

## მაჟ. სოლომონ ალექსანდრეს-ძე
## ბებუთოვი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე მისი კნ. ნინო გრიგოლის ასული ბებუთოვისა და დაი მისი კნ. ნატალია ალექსანდრეს ასული ხერხეულიძისა პანაშვიდები ყოველ დღე 7 ნახ. ს. საკუთარ ბინაზე ოლღას ქ. 24. გამოსვენება მოხდება კვირას თებერვლის 29-ს, დილის 9 ნახ. საათ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საიდანაც წირვის და ანდერძის შემდეგ წაასვენებენ და დაკრძალავენ ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში. 2908—1—1

---

მეუღლე ლუკრეცია ალექსანდრეს ასული, შვილები ალექსანდრე, ნატალია მარიამი, ეკატერინე ნემსაძეები, სიძე ივერიკო ლორთქიფანიძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 29 თებერვალს გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

## ოტია ალმასხან ს ძე ნემსაძის

სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში დილის 10 საათზე. 2909—1—1

---

კვირას, ამა თვის 29, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურღიას და შემდეგ გადაიხდის პანაშვიდს,

## გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან მოწყვედილთა სულის მოსახსენებლად

და სავედრებელ პარაკლისს. წირვა დაიწყება დილის 9 ნახ. საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. ამავე დღეს პანაშვიდი და პარაკლისი გადახდილ იქმნება თბილისის ყველა ეკლესიებში. 2911—1—1

---

კვირას, 29 თებერვალს იქნება გადახდილი ნახევარ წლის წირვა ჩვენი დაუვიწყარ ვაჟის

## გიორგი ღვამიჩავას

სულის მოსახსენებლად წმ. ნინოს ეკლესიაში, ხოლო 12 ს. პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ მშობლები: დედა ავგუსა, ანდრიევის ასული და მამა ნესტორი გვამიჩავა შვილებით ქეთევანით და კოტეთი.

---

## სახელმწიფო თეატრი

ცელახიშვილის ხელმძღვანელობით
დღეს, თებერვლის 28-ს
**სევილიელი დალაქი**

---

1-ლ მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული
გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მისწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, საეკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 8 მან.
თითო ნომერი 2 მან. 4—3—7

---

მიხეილის
**ალკრე**
პლეხანოვის ქ. 91

**მხოლოდ სამი დღით**

თებერვლის 27-ს, 28 და 29-ს

იდგმება თბილისში

## „მეძავი“

ტრაგედია 5 ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან ცნობილ მსახიობის
**ვლადიმერ ალექსა მესხიშვილის** მონაწილეობით

თეატრი ითბობა. ფასები არ არის გადიდებული. სიმფონიური ორკესტრი.

---

## ქართული კლუბი

შაბათს, 28 თებერვალს

**საოჯახო საღამო**

სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მონაწილეობით

## კონცერტი

ქ. ქ. რისს, ელაზ, ბ. ბ. ბოლიაევი, საბინინი, მოლჩანოვი.
დასაწყისი 10 საათზე. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 31 1—1

---

## თბილისის მე-6 გიმნაზიის დარბაზში

(ე მოლოვის ქუჩა № 6)
შაბათს 28 თებერვალს

გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ბაუერზაკსი, კურბატოვი, ქურხული, კალანდაძე-აგასოვა, ლორთქიფანიძე, ნინ—ნი, ელიოზაშვილი, ახალგაზრდა პოეტები და სხვანი.
დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. ცეკვა, გახშამი, ფოსტა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

---



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21,)

**სადილი**

ყოველ დღე 1—5 საათამდე.
შაბათს, თებერვლის 28

საღამო მოუ **ექსპრომტების** ლოდნელ
ევგენი ალექს. ასულის სერგეევის

## დიდი საღამო—კონცერტი

სცენის და ბოჰემის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით.
დასაწყისი საღ. 11 ს.

---

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

## „ტაშირი“

შტაბის ქ. № 6, პუშკინის სკვერის პირდაპირ
**ჩაბარდა ახალ პატრონებს.**

ყოველ დღე სადილი ცნობილ კულინარ ლავრენტის ხელმძღვანელობით.
სხვა და სხვა საუზმე, ვახშამი, ევროპიული და აზიური. ყოველგვარი სასმელი დაკლებულ ფასებში.

2868 10 6 პატივისცემით დმ. გიგიბერია და მ. კაზიშვილი.

---

## მოითხოვეთ

## ჩარიბაიას

## კახური ღვინო

ფირმის მიერ მონაწილეებად მიწვეულები არიან გურჯაანის საუკეთესო მევენახეები. 2862 10 5

---



პირველ-ხარისხოვანი
ცირკი **„კრისტენს“**
გვირის დაღმართზე. ტელ. 5—62.
შაბათს, თებერვლის 28-ს 1920 წ.

გაიმართება დიდი წარმოდგენა

**ჩვენი შაბათი**

მონაწილეობენ: ევროპაში სახელგანთქმული მისტერ ბორტონი, თბილისელი ცნობილი კინტო გ. მესტიევი საერთაშორისო ფალავანების ჭიდაობის გაგრძელება, ხელმძღვანელობს ვ. კვიატოვსკი იჭიდავებენ:
ზაგარუკო—ნეიშვესტნი გვანჯალი—მაკაროვი სტაროშვილი—ერმაკოვი
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ჭიდაობა 10 ნახ. საათზე.
გამგე არბიტრი: ვ. კვიატკოვსკი

---

## იყიდება

ახალ აგებული
**სამ სართულიანი სახლი**

130 კვადრატიული საჟენი, 33 ოთახით. მამადავითის ქუჩის მე-3 შესახვევი, გორსკის ქ. 3. სახლს აქვს დართული სარდაფიც. პირობების გაგება შეიძლება დახურულ ბაზარში № 12, დილის 8—2 ს. და საღამოთი 4—6 საათ. 2905 2—1

---

კვირას, 29 თებერვალს, დილის 11 ს.,
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში გაიმართება ამავე უნივერსიტეტის

## სტუდენტ-მსმენელთა საერთო კრება

დღის წესრიგშია:

1. გამგეობის მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
4. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

2910 1—1 გამგეობა.

---

## კინემო მინიონი

თებერვლის 25, 26, 27, 28-ს

ახილი დადგმა!
ორიგინალი სიუჟეტი!

პატარა ლამაზი ვარსკვლავი ეკრანის

**მარი ოსბორნ**

სურათში:
„ორი მზე“

პროგრამის გარეშე
**ტრაგედია ტარნოპოლთან**

---

## ექიმი
## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფს იღებს 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

---

## კომედია!

შინაგან საქმეთა სამინისტრო და თბილისის ქალაქის საბჭო ერთს ახალ კომედიაში ჩაებნენ. საკმარისი იყო პირველი კომედიის თამაშის გუნებაზე მოსულიყო, რომ მეორე მექანიკურად იმავ ფერხულში ჩაბმულიყო. და რადგან თბილისის ქალაქის საბჭო კომედიაშია გართული, ამიტომაც უნდა მოველოდეთ, რომ სულმოკლე ხანში ამ კომედიაში მთელი დამფუძნებელი კრებაც ჩაებმევა. ასეთი ორგანიული კავშირი ამ სრულიად სხვა და სხვა დაწესებულებას შორის განსაზღვრულია მათში მომქმედ და მათი ხელმძღვანელ პირთა იგივეობით. ვინც სამინისტროშია, ის ქალაქის საბჭოს ან მის გამგეობის წევრიც არის. ხოლო ქალაქის საბჭოს წევრები, ერთი ორი შემთხვევის გარდა, ამავე დროს დამფუძნებელი კრების წევრებიც არიან.

ყველგან ერთი და იგივე სუბიექტები სხედან. ამიტომაც, ერთ ადგილას მიღებული გარდაწყვეტილება იმავე არგუმენტით და იმავე შაბლონით ყველა დანარჩენ დაწესებულებაში იქნება გატარებული და მოწონებული. ერთგან ჩადენილი შეცდომა ყველა დაწესებულებაში უნდა იქმნეს ჩადენილი და შეწყნარებული. ეს ფატალურია!

უბედურება ერთი ორად ნაკლები იქნებოდა, რომ მხოლოდ ძალთა ურთიერთობა ყოფილიყო ყოველგან ერთნაირი, ხოლო ამ ურთიერთობის განპიროვნება კი ყოველგან სხვა და სხვა.

ჩვენი ქვეყნის აზროვნების დამაჭლექიანებელია სწორედ ეს ძალთა ერთნაირი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ერთნაირი პერსონიფიკაცია ყოველგან და ყოველს დაწესებულებაში. ყოველგან ერთი ზომის ცხრილი და საცერია. ყოველგან სტერეოტიპიული ტემპერამენტი, აზროვნება, ლოღიკა და არგუმენტაცია. არ არის ანაზდეულობა და სპონტანიურობა განცდაში, არ არის თავისებურობა და მოულოდნელი წინააღმდეგობა ძლიერი აზრისა და ახალ-ახალი არგუმენტისა! ერთი სიტყვით, არ არის სიცოცხლე, არ არის ფერადობა და სიუხვე სიახლეთა არც წმიდა აზრებისა და არც არგუმენტების ოპერაციაში.

ერთი რუხი ფერია ყველაფერზე გადაკრული. ერთი შაბლონი მეფობს.

შეუძლებელია რაიმე სერიოზული აზრი და საქმე, შეუძლებელია სულიერი და ნივთიერი პროგრესი, თუ ამ ყოფამ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ხასიათი მიიღო. ამაში მეტი საფრთხე მარხია ჩვენი მომავლისათვის ვიდრე ეს ჩვეულებრივ გვგონიათ...

დღევანდელ მორიგ კომედიას, „თბილისის გაწმენდა“ ჰქვიან. ამ სამი თვის წინად შინაგან საქმეთა სამინისტრო წინადადებით შემოვიდა დამფუძნებელ კრებაში, რათა ამ უკანასკნელს მიეღო დეკრეტი თბილისის გაწმენდისა. დამფუძნებელმა კრებამ სამინისტრო დააკმაყოფილა, მაგრამ სკანდალური აღმოჩნდა წესი და მეთოდი ამ დეკრეტის ასრულებისა. თუ ვინმეზე ასრულდა იგი, ეს ვინმე სუსტი და უპატრონო უნდა ყოფილიყო. შეძლებული და გავლენიანი უმეტეს შემთხვევაში ამ დეკრეტის გარეშე რჩებოდა. ჩვენ ხშირად გვსმენია საყვედური ზოგიერთი გადამსახლებელი კომიტეტის წევრისგან, რომ დეკრეტის წესიერ მოქმედებას ხელს უშლიდენ გავლენიანი მმართველთა ბარათები და ტელეფონები.

ამ სამი თვის პრაქტიკის შემდეგ ქალაქის ადმინისტრაცია და სამინისტრო დარწმუნდნენ, რომ სრულიად უძლური იყვნენ ამ დეკრეტის ასრულებაში მოსაყვანად, რის აუცილებლად საჭიროებას ამ ცოტა ხნის წინად ასე ენერგიულად ასაბუთებდა ერთიც და მეორეც. და იმის მაგივრად, რომ გამოტყდენ თავიანთ უვარგისობაში, იმაში, რომ მათ არ შესწევთ არც მორალური სიმტკიცე და არც ორგანიზაციული ნიჭი ამ საჭირო დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად, გამოდიან და ურცხვად გაიძახიან, ასეთი ღონისძიება ზედმეტიაო...

შინაგან საქმეთა სამინისტრო, თითქოს არ იცოდეს რაშია საქმეში, ეკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

## დღეს:

ვილსონმა და მილიერანმა უარყვეს ნიტტისა და ლოიდ ჯორჯის საიდუმლო წინადადება საბჭოთა რესპუბლიკის ცნობის შესახებ. ასევე დაუკმაყოფილებლად ჩასთვალეს რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულობის დაჭერა.

ისტრიაში იტალიელთა წინააღმდეგ სლავიანთა დიდი შეთქმულება აღმოაჩინეს. სამხრეთ სლავიის მთავრობამ ისტრიაში საერთო რევოლუცია მოაწყო.

კასპიის იქით მხარეზე წითლებმა დაიპყრეს კრასნოვოდსკის სამხრეთით მყოფი კუნძული ჩელეკენი.

ინგლისის ქვეითი ჯარის ნაწილი კონსტანტინეპოლს ჩავიდა.

—

**ცერილები:**

მეთაური — კომედია!

— დამფუძნებელი კრება.

ია კარგარეთელი — მუსიკა ქართულ სკოლაში.

**გახსოვდეთ შოთას სიტყვები — „რასაცა გასცემ შენია რაც არა დაკარგულია“. — დაეხმარეთ გორს.**

**ვინც თვეში ასი ათასობით იღებს და მშიერს გროშებით ისტუმრებს ის თვალთმაქცი და ფარისეველია.**

ხება ქალაქის გამგეობას, თუ რა აზრისაა იგი ქალაქიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების გაუქმების შესახებ. ქალაქის გამგეობა სამინისტროს ამ შეკითხვას წარუდგენს ქალაქის საბჭოს; საბჭოს სხდომაზე აღმოჩნდება, რომ გადასახლების საქმეში „სხ. და სხ. მიზეზით იმედები არ გამართლდა“ და რომ „ეხლა არამც თუ უნდა გაგრძელდეს ქალაქიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლება, არამედ გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულნიც უნდა მიიღოს ქალაქმა“.

აღმოჩნდება აგრეთვე რომ „მას შემდეგ (ე. ი. ამ დეკრეტის შემოღების შემდეგ) საგრძნობლად შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობა და რამდენიმე უცხო სახელმწიფო საქართველოს დაპირდა პურის მიწოდებასო“... აი ნიმუში მსჯელობისა... ასე გგონიათ ბავშები სხედან და თამაშობენო... და ეს დაპირებული პურის მოლოდინი ხალხი ადგენს, გაუქმდეს გადასახლების დეკრეტიო. სამინისტრო „ჩაწყობილის კარტით“ ეთამაშა ქალაქის საბჭოს და მოიგო. ეხლა ეს ორი შეთანხმებული პარტნერი ამ დეკრეტს დამფუძნებელ კრებაში გაათამაშებს აგრეთვე „ჩაწყობილის კარტით“. დარწმუნებული არიან რომ საქმეს მოიგებენ...

და ქვეყნის მოსატყუებლად თამაშობენ ამ თავსმოტყუილების კომედიას...

განა არ იციან, რომ დაპირებულის პურით კუჭს ვერ გაძღომ და რომ ჩვენი მომარაგების სამინისტროს წყალობით დღეს ერთი გირვანქა შავი პური ოცი მანეთი ღირს, ხოლო მაშინ, როდესაც დეკრეტი შემოქონდათ იგი 5—7 მანეთი ღირდა?!

განა არ იციან რომ ამ დეკრეტის მიღების საჭიროებას მაშინ სწორედ ამ პურის უშოვნელობით და სიძვირით ასაბუთებენ?!

განა თუ არ იციან ყოველივე ეს? იციან, როგორ არ იციან, მაგრამ თადლითობენ... კომედიას თამაშობენ!!.

# დამფუძნებელი კრება

თებერვლის 24 სხდომა.

(დასასრული).

**40 მილიონი სამხედრო საჭიროებისათვის.**

**ს. მდივნის** მდივნის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის 40 მილ. მ. სამხედრო ფონდიდან გადადებისა და დეკრეტი სამხედრო უწყებისათვის 58.0.26.622 გადადებისა და მისივე შესაბამად ყოველთვიურად 36609761 მ. დანიშვნისა ამა 1920 წ. თებერვლის 1-დან ივნისის 1.

**3 მილიონი გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში მოულოდნელ ხარჯებისათვის**

**ს. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 3 მილ. მ. გადადებისა სხვა და სხვა მოულოდნელ ხარჯებისათვის.

**სახაზინო რკინის გზის საოპერაციო ავანსი.**

**გ. გაგლოევის** მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის საოპერაციო ავანსის დამტკიცებისა მისთვის განსაკუთრებულ თანხის დაარსებისა და დასატრიალებელ კაპიტალის გადადებისა.

**მდინარე რიონის ნაპირების გასამაგრებლად 100.000 მანეთის გადადება**

**ი. სალაყაიას** მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი ლანჩხუტის ქალაქის თვითმმართველობის და სენაკის სამაზრო ერობისათვის 100000 მანეთის სესხის მიცემისა მდინარე რიონის ნაპირების გასამაგრებლად.

**ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ**

**ი. სალაყაიას** მოხსენებით დამფუძნებელი კრება მუხლობრივ ისმენს და ღებულობს კანონპროექტს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ.

**საარტილერიო საწყობის ნებით დაქირავებული სადარაჯო გუნდი.**

**ს. მდივნის** მოხსენებით დამფუძნებელი კრება ღებულობს საარტილერიო საწყობის ნებით დაქირავებულ სადარაჯო გუნდის შესაბამად 2113986 მ. გადადებისას.

**საგვარეულო უძრავ ქონების გამოსყიდვის უფლების გაუქმება.**

**მ. რუსია** მოახსენებს კრებას, რომ წარმოდგენილ კანონპროექტით უქმდება საგვარეულო უძრავ ქონების გამოსყიდვის უფლება. ეს ინსტიტუტი შემოღებული იყო განსაკუთრებით თავადაზნაურთათვის ამჟამად ეს ინსტიტუტი როგორც სრულიად ზედმეტი უნდა გაუქმებულ იქნეს. ამ კანონს უნდა მიეცეს უკუქცევითი ძალა და ყველა ის საქმეები რომლებიც დაწყებულია ამ ნიადაგზე 1918 წ. მაისის 26 დან უნდა გაუქმდეს.

**შალვა მესხიშვილი.** კანონპროექტი პრინციპიალურად მისაღებია საგვარეულო უძრავ ქონების გამოსყიდვის ინსტიტუტი შეიქმნა მაშინ, როდესაც ძემამულეები ცდილობდნენ მათი მამულები არ გასულიყო სხვა წოდებათა ხელში. მაგრამ განა შეიძლება რომ იურიდიულ ნორმას უკუმსვლელობითი ძალა მიეცეს? იურიდიულ მეცნიერების თვალსაზრისით იურიდიულ ნორმას ძალა აქვს მხოლოდ დღიდან მისი მიღებისა. მერე ვის ინტერესებს იცავთ თქვენ როდესაც კანონს უკუქცევით ძალას აძლევთ?

თქვენ იცავთ 17 სპეკულიანტის ინტერესებს რომელთაც ისარგებლეს რევოლუციით, გაყვლიფეს ხალხი და შეძენილ ფულით შეისყიდეს ეს მამული.

ანდა თუ 26 მაისიდან ყველა საქმეებს სპობთ მოსპეთ მირზოევის საქმეც.

**გ. გიორგაძე** აღნიშნავს, რომ პრაქტიკულის თვალსაზრისით, სამართლიანობის მიხედვით ამ კანონს უნდა მიეცეს უკუქცევითი მოქმედების ხასიათი, ვინაიდან ეს კანონი მიმართულია სპეკულიანტების წინააღმდეგ. ადრევე გაყიდული ქონება მათ სურთ დაიბრუნონ უკან, ეხლა როდესაც ფულის კურსი დაეცა. ამით ისინი ერთგვარ სპეკულიაციას ეწევიან. ჩვენ კი ყოველგვარ სპეკულიაციას ვებრძვით.

**ნიკო ნიკოლაძის სიტყვა.**

მე მინდა მოგახსენოთ, რომ იმ არსებით საკითხს, იმას შესახებ, რომ უნდა მოისპოს ეს ინსტიტუტი, მგონი არვინ არ უარჰყოფს. კანონშიც იყო განმარტებული, რომელიც შეეხება მარტო მამაპაპეულ მამულს (родовое имѣніе), რადგან ის წოდება, რომლისთვისაც არსებობდა ეს უფლება, მოისპო. საჭირო არის ეს ინსტიტუტიც რაც შეიძლება მალე მოისპოს. ეს კანონი უნდა შეეხებოდეს ყველ იმ საქმეებს, რომლებიც დაწყებულა იმ ნიადაგზე 26 მაისიდან. ეს სამართლიანობა იქნება. თუ ეს ასე არ მივიღეთ, დიდი უსამართლობა მოხდება. დაბრუნება იმდენივე მანეთისა ეს იქნება გაგლეჯა. თუ გნებავთ რომ ამ მხრივ დაცულ იყოს სამართალი მაშინ თქვენ ამ ღონისძიებას უნდა დაადგეთ უნდა დააფასოთ დღეს დღევანდელ ფულზე ის ფული რამდენადაც გაცემული იყო მამული შარშან თუ შარშანწინ და მაშინ კიდევ შეიძლება რომ მოხდეს მამულის დაბრუნება.

ნამდვილი სპეკულაცია სწარმოებს იმათგან, ვინც ცდილობს, რომ მამაპაპეული მამული დაიბრუნოს და ამისათვის ისარგებლოს იმ გარემოებით, რომ ჩვენი ფული დღითი დღე ჰკარგავს ფასს.

ამ მიზეზით ამ ნიადაგზე უშველებელი მტერობა არსდება, არამც თუ სპეკულიაცია, სისხლის ღვრაც ხდება ხოლმე ამის გამოისობით ან თქვენ უნდა მიიღოთ მთავრობის წარმოდგენილი კანონპროექტი, ან და თუ გსურთ რომ კანონს უკუმოქმედებითი ძალა არ ჰქონდეს მაშინ უნდა დააწესოთ, რომ იმ ანგარიშით იბრუნებდნენ უკან მამულს, რაც ეღირება დღევანდელ მანეთის კვალობაზე ძველად მიცემული ფული.

**გ. გვაზავა** პრინციპიალურად ეთანხმება კანონპროექტს. ორატორი აღნიშნავს, რომ თეორიაში ჯერ კიდევ სადაოა შეიძლება თუ არა სამოქალაქო კანონს მიეცეს უკუქცევითი ხასიათი. ორატორის აზრით ასეთი ძალა კანონს შეიძლება მიეცეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს არ კეთილ შეძენილ უფლებასთან.

**მელიტონ რუსია**

უკანასკნელ სიტყვაში ეხება მირზოევისეულ სახლის საქმეს და აღნიშნავს, რომ ეს სახლი ქალაქთა კავშირის ხელში გადმოვიდა 26 წლის იჯარით შემდეგ ეხება თვით კანონპროექტის შენიშვნას და აღნიშნავს რომ სწორედ სამართლიანობა მოითხოვს, რომ მას უკუქცევითი ხასიათი მიეცეს.

**მომარაგების კომისია**

კრების დასასრულ არჩეულ იქმნა მომარაგების კომისია 9 წევრისგან.

**ვინც გორს არ დაეხმარება ის ღალატობს საქართველოს...**

# მიწის ძვრა საქართველოში

## მთავრობის თავმჯდომარე და დამფ. კრების წევრნი გორში.

ხუთშაბათს, 25 თებერვალს, დილის 9 საათზე საგანგებო მატარებლით გორში გაემგზავრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, დამფუძნ. კრების პრეზიდიუმის წევრნი: სვ. მდივანი, ექ. თაყაიშვილი, ქრ. შარაშიძის ასული, მინისტრები: ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი, გრ. ლორთქიფანიძე, რ. არსენიძე, განათ. მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე, გზათა დეპ. დირ. გ. ჟიჟინაძე და სხ. აგრეთვე — ბუნების მეტყველნი, გეოლოგები, ინჟინრები, ინგლისელი კორესპონდენტები და კინემატოგრაფ „ფილმა“-ს წარმომადგენელი აპარატით. გორში მისვლამდე მატარებელი დგებოდა დაზარალებულ ადგილებში, სადაც მთავრობის თავმჯდომარე ათვალიერებდა დაზარალებულთ და ეცნობოდა ადგილობრივ დახმარების საქმეს.

გორში მატარებელს შეხვდნენ ერობის თავმჯდომარე, ქალაქის მოურავი, გორში მყოფი დამფ. კრების წევრნი ნ. იმნაიშვილი და დ. ონიაშვილი. მთავრობის თავმჯდომარე გაეცნო ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობას დაათვალიერა საზოგადოებრივი და კერძო შენობები. შემდეგ სადგურზე გაიმართა თათბირი საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, რის შემდეგ სად. სკრაში გაემგზავრნენ, სადაც აგრეთვე დაათვალიერეს დაზარალებული ადგილები და გაეცნენ დახმარების საქმეს. საღამოს 7 საათზე მატარებელი თბილისში დაბრუნდა.

—

## მიწის ძვრისგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ ბიუროსაგან.

მთავარი ბიურო სთხოვს ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომელსაც მოწყობილი აქვს ორგანიზაცია დახმარებისა და აგრეთვე მათაც, რომელთა წარმომადგენლებიც თბილისის კომისიაში შედიან, საჩქაროდ მიიღონ საკვიტანციო წიგნაკები ბიუროს მდივნისაგან (ქალაქის გამგეობა, ვასილ ხახანაშვილი), ვინაიდან ფულისა და ნივთების შემოწირულება ხდება მხოლოდ მთავარ ბიუროს მიერ დამტკიცებულ წიგნაკების საშუალებით.

შეგროვილი ფული საჩქაროდ უნდა გადაიგზავნოს ქალაქის გამგეობაში, დამხმარე კომისიის სახელობაზე.

—

## ს. ხოგის დახმარება

„შეგვაძრწუნა გორის მაზრის მცხოვრებლებზე დამტყდარმა სტიქიურ უბედურებამ სასწრაფოდ შესდგა დამხმარე კომიტეტი ხალხი მზადაა დაზარალებულთა დასახმარებლად.

აშკარაა გორის მაზრა ნივთიერად უზრუნველ ყოფილ იქნება მოძმეთა მიერ. ჯერჯერობით გიგზავნით სახელდახელოთ შეგროვილს 8000 მანეთს“.

**ხოგის კომიტეტი.**

—

**მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ** თავისი ხვედრი პური გაგზავნეს გორში შემდეგ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებმა: საზოგადოება „კახეთის“ მუშებმა 2 დღის ხვედრი პური სულ 3 ფუთი 8 გირ., საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეებმა 26 ფუთი 8 გირ. სასურსათო განყოფილების მოსამსახურეებმა 7 ფუთი 22/2 გირ.

—

## ქ. გორის აშენების ადგილის საკითხი.

მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა დაადგინა გორში გაიგზავნოს გეოლოგთა კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არ იქნება საშიში ქ. გორის იმავე ადგილას აღდგენა. კომისიაში შედიან სამთო სამმართველოს ინჟენერები კონიუშევსკი, შალიკნოვი რაბინოვიჩი და აგრეთვე თბილისის ფიზიკურ აბსერვატორიის წარმომადგენელი.

—

## ტეხნ.-საამშენებლო სამუშაოთა ხელმძღვანელი.

საამშენებლო მუშაობათა ხელმძღვანელობა გორში დაევალა თბილისის თვითმართველობის მთავარ ინჟინერს გ. ქურდიანს.

—

## ხე-ტყე გორისთვის

გორში დანგრეულ სახლების აღსადგენად ბორჯომის ტყეებიდან გამოზიდულ იქმნა 27 ვაგონი ხე-ტყე.

მიწადმოქმედების სამინისტრო შეეკითხა მომარაგების სამინისტროს, თუ რამდენი ხე-ტყე დასჭირდება გორში სახლების აღსადგენად.

—

## ქალთა ორგანიზაციების საერთო კრება

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემდგარი კომისია, რომელშიაც შედიან ქალაქთა კავშირის, კოოპერატივთა კავშირის, ქალთა ორგანიზაციების, პროფესიონალურ კავშირების, სავაჭრო სამრეწველო პალატის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, პარასკევს, თებერვლის 27 საღამოს 6 საათზე ქალაქის გამგეობაში იწვევს ყველა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებას ეროვნების განურჩევლად.

—

## „ქიმერიონ“-ში

შაბათს, 28 თებერვალს „ქიმერიონში“ მწერალთა კავშირის საბჭო მართავს გრანდიოზულ საღამოს გორის მცხოვრებთა სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი მწერლები, ქართული დრამის, „ტარტო“-ს და სახელმწიფო თეატრის მსახიობნი და შესრულებულ იქნება მრავალი საექსპრომტო ნომრები.

—

## ინფორმაციისათვის:

გაზეთებში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ ქალაქთა მთავარი კომიტეტის წარმომადგენლად მთავრობის საგანგებო კომიტეტში შედის ზანდუკელი.

ნამდვილად მთავრობის განსაკუთრებულ კომიტეტში ქალაქთა კავშირიდან კომიტეტის წევრად არის მ. ი. რუსია.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენლად მთავრობის საგანგებო კომიტეტში მოწვეულია ე. ი. სირბილაძე.

საგანგებო კომიტეტი.

**შენი შვილის ტოლები ცრემლებს აფრქვევენ, პატარა თვალებიდან. — თუ შვილი გიყვარს მათაც დაეხმარებით. შესწირე გორელ ბავშებისათვის.**

**ქართლის გული დაკოდილია თუ საქართველოს შვილი ხარ, ამ გულის გამთელებისათვის შრომა და ფული არ უნდა დაიშურო.**

## შემოწირულება

**გზა-ტკეცილების და წყალსავალ გზების სამმართველოს მოხელე მოსამსახურეთ** გორის დაზარალებულთ შესწირეს ერთი დღის ჯამაგირი — 3729 მან. და აგრეთვე კრებაზედ შემთხვევით დამსწრე მოქ. იაკობ ავალიშვილმა შემოწირულებას დაუმატა 2.000 მან.

**თბილისში მყოფ სააქციზო მოხელეთა და კომიტეტის სასწრაფო კრებამ** გაითვალისწინა რა ქალ. გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მდგომარეობა დაადგინა: თებერვლისთვის 60 პროც დამატებიდგან გამოერიცხოთ ყველა აქციზის მოხელეს ერთდროულათ სულ 14,500 მან., რომელიც გადაეცეს ქალ გორში დაზარალებულთა დასახმარებლად. გარდა ამისა გაიგზავნოს დღესვე მოხელე სურსათით ქალ. გორში მყოფ აქციზის მოხელეთა დასახმარებლად.

თელავის ვაჭრებმა გორში დაზარალ. შესწირეს: ბაგრატ სიმონოვმა 200 მ., გასპარ რევაზოვმა 50 მ., გიგოლ არუთინოვმა 100 მ., სარქის ბაიანდუროვმა 100 მ., გასპარ თათულოვმა 200 მ., ვანო ავეტიქოვმა 50 მ., გრიგოლ გრიქულოვმა 100 მან.

**მდიდარო მიწისძვრა ყველას ათანასწორებს. გაიღე შენი სიმდიდრიდან დაზარალებულთა მოსაჯობნებლად.**

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**მინისტრების დანიშვნა.**

თებერვლის 3 ს პარლამენტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ პრემიერ მინისტრის წერილი მუსტაფაბეკ ვექილოვის შინაგან საქმეთა მინისტრის და მამედ-ჰასან ჰაჯინსკის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებად დანიშვნის შესახებ.

**საქართველოში აზერბაიჯანის დიპლომატიურ ელჩის ნახვა სენატორ კონტის მიერ.**

თებერვლის 18-ს, იტალიის ეკონომიურ მისიის მეთაურმა სენატორ კონტმა ინახულა საქართველოს მთავრობასთან მყოფი აზერბაიჯანის დიპლომატიური ელჩი ფ. ვექილოვი. მეორე დღით, თებერვლის 19-ს ბ. ვექილოვმა სენატორ კონტს სამაგიერო დარბაზობა გადაუხადა.

**დიპლომატიურ წარმომადგენლობის გაუქმება ყუბანში**

მთავრობის დადგენილებით გაუქმებულია აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა ყუბანის რესპუბლიკასთან.

**აზერბაიჯანის სააგენტოს გაუქმება პეტროვსკში.**

მთავრობის დადგენილებით, მთიელთა რესპუბლიკასთან ქ. პეტროვსკში აზერბაიჯანის ელჩის მიერ დროებით დაფუძნებული სააგენტო აზერბაიჯანში დაბრუნების ნებართვების გაცემისათვის — გაუქმებულია.

**„რენესანსი“ აზერბაიჯანის შესახებ**

თებერვლის 4-ს „რენესანს“-ში ვკითხულობთ: აზერბაიჯანის კაბინეტმა თავისი პროგრამა წარუდგინა პარლამენტს. პროგრამაში ნათქვამია, რომ მათ სურთ ურთიერთობის გაბმა არა მარტო მეზობელ რესპუბლიკებთან, არამედ შეზობელ სახელმწიფოებთანაც. კაბინეტი იმედოვნებს, რომ ახლო-მომავალში ოსმალეთთან მჭიდრო კავშირით იცხოვრებს.

**მაიორი ბარნეტი აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის შესახებ.**

ინგლისის პარლამენტის წევრმა და ერთ ინგლისურ ნავთის კომპანიის „ბარვ კონსოლიდატის ოილ ფილდს“-ის თავმჯდომარემ მაიორ ბარნეტმა ამას წინად მეტად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ამ საზოგადოების აქციონერების წინაშე.

დეპუტატი შეეხო „საუკუნოებრივ ცეცხლებს“, რომლებიც ასე იზიდავდნენ ბაქოში სპარსელებს და აზიის დანარჩენ ხალხს. მან აღნიშნა, რომ ჯერ ისევ დიდებულ მოგზაურის მარკოპოლის დროს ბაქოს ნავთი ცნობილი იყო და მას უხვად ხმარობდნენ. მიუხედავად ამისა, რომ ბაქო მთელი საუკუნეებია ცნობილი თავისი ნავთის შადრევანებით პირდაპირ გაგაოცებთ ის უციცობა, რომელიც გამეფებულია ყველგან ამ ოლქში.

მე-19 საუკუნის 39 წლიდან და მე-20, საუკუნის პირველ 17 წლის განმავლობაში ბაქოს შადრევნებმა სულ 219.000 000 ტონი ნავთი მოგვცეს ეს საშუალო წელიწადში 6 მილიონ ტონს უდრის.

ქვეს გარეშეა რომ შეერთებული შტატები ამ მხრივ ბევრად წინ უსწრებენ, მაგრამ ამერიკა ხომ მთელი მატერიკია და იქ ნავთიანი ოლქებიც მრავლადაა, მაგრამ არც ერთი ოლქს წლიურად 6 მილიონი ტონზე მეტი არ მიუცია. კალიფორნიაში გაცილებით მეტი ნავთი ამოდიოდა და მასაც კი არ მიუცია 6 მილიონიან ტონზე მეტი.

კამპანიას აქვს ნავთიანი ადგილი ამერიკელ ნახევარ კუნძულზე მისი სიგრძე 60 კილომეტრია ხოლო 20 კილომეტრი სიგანე.

თვით ბალახანის და ბიბიაიბატის ოლქები უამრავ ნავთს იძლევიან.

ჩრდილოეთით არის მაიკოპის ნავთიანი ოლქი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ 1915, 16 და 17 წლებში ბაქოს შადრევანებმა $4 \frac{1}{2}$ ჯერ მეტი ნავთი მოგვცეს ვიდრე მთელ მაიკოპის ოლქმა.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები 1917 წელს არის შეკრებილი ამ ამ ცნობებით ბაქოს წარმოება უდრის მთელ რუსეთის წარმოებას 78 პროც. გროზნის 18 პროც. და 4 პროც. ურალი, მაიკოპის და სხვა ნავთიან კუთხეების ერთად ბალახანსა და ბიბიაიბატში იმ ადგილების გარდა რომლებითაც ინგლისური კამპანია სარგებლობს არის დამუშავებული მეტად საიმედო ადგილები.

**ნ. უსუფბეგოვი პოლიტიკურ მომენტის შესახებ**

ამ უკანასკნელ ხანს ვრცელდება ტყუილი და ტენდენციური ცნობები აზერბაიჯანის მდგომარეობისა და მის მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

ამის გამო მოგვყავს აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნასიბ ბეგ უსუბეგოვის საუბარი გაზ. „აზერბაიჯანის“ თანამშრომელთან.

„ამ უკანასკნელს ხანს ჩვენ წინააღმდეგ სამს, უსამართლო და ყოველივე საფუძველს მოკლებულ, ბრალდებას აყენებენ.

მე შევჩერდები მოკლედ ამ სამივე ბრალდებაზე.

პარტიული ბრძოლა აზერბაიჯანში რასაკვირველია არსებობს და სამწუხაროც იქნებოდა, რომ იგი მოსპობილიყო. სრულიად გასაგებია, რომ თვითოეული პოლიტიკური მიმდინარეობა იბრძვის თვის მიზნების პრაქტიკულ განხორციელებისათვის. მაგრამ შეიძლება სრულის კმაყოფილებით და გაბედულადაც აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ჩამოსულა ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის პლატფორმიდან. ყველა პარტია ერთ მიზანს ისახავს. ეს არის სიკეთე და აყვავება თავისუფალ და დამოუკიდებელ აზერბაიჯანისა. ის პარტიები რომლებიც მთავრობას ოპოზიციაში უდგებიან ძირითად საკითხებში, განსაკუთრებით კი სუვერენობის საკითხში მთავრობასთან და ხელმძღვანელ პარტიასთან სოლიდარულნი არიან.

მოჭორილია ის ამბავი, თითქოს ჩვენი პოლიტიკა ბოლშევიზმისაკენ იხრებოდეს. ამით მტრებს ჰსურთ ჩვენდამი ანტანტის უნდობლობა გამოიწვიონ. ბოლშევიზმი სრულად არ შეეფერება აზერბაიჯანის ხალხის სულს და ხასიათს. ჩვენ მათთვის შესაფერი ნიადაგი არ მოგვეპოება. რაც შეეხება ჩვენს საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულებას ეს სრულიად ნათლად იყო ჩამოყალიბებული ჩვენს პასუხში ჩიჩერინისადმი.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას თანამოდგმე ოსმალეთთან უნდა განვაცხადოთ, რომ მართალია ჩვენი ერი თანაუგრძნობს ოსმალეთს, სწუხს იმ სატირალ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩავარდა იგი მისმა დროებითმა

**რამდენი დედა კვნესის გორის მიწისძვრით. თუ დედა გიყვარს დაეხმარე დაზარალებული.**

და შემთხვევით წარმომადგენლების შეცდომებმა. ჩვენ უაღრესად გვსურს ოსმალეთის ერის ეროვნული აღორძინება, რადგან ჩვენ გვგონია, რომ ოსმალეთის აღორძინებას მოითხოვს მთელი განათლებული ქვეყანა. მაგრამ ჩვენი სიმპატიები ოსმალეთთან სრულიადაც არ შეკვეცენ ჩვენს მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი, სრულებითაც არ ებმიან ჩვენს პოლიტიკის საერთო საფუძვლებს.

რაც შეეხება ყველა იმ ხმებს, რომლებიც გავრცელებულია ვიდაც ოსმალ ემისრების შესახებ, რაღაც ბოლშევიკების, ოსმალების და აზერბაიჯანის ბლოკს—ყველა ასეთი ცნობები სრული სიცრუეა და კატეგორიულად უარყოფილი უნდა იქმნენ. ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკა გარკვეულია. ასეთივე სიცრუეა და პროვოკაციულ მიზნით გავრცელებული ის ხმა, თითქოს ჩვენ ფარულად შევთანხმდებოდეთ ოსმალეთს. ფარულ შეთანხმებითი პოლიტიკა არ არის ჩვენი პოლიტიკა.

**შენ თბილათ ხარ, გორში კი იყინებიან დავიჯეროთ, მათ არ დაეხმარებით.**

## სომხეთი

**სომხეთის ჯარის რეორგანიზაცია.**

პარიზიდან „ეტნოს"-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა ფრანგული კომისიის გაგზავნა სომხეთში, სომხის ჯარის რეორგანიზაციისათვის. ეს კომისია, რომელიც შესდგება მრავალ რიცხოვან ოფიცრებისაგან, უკვე გაემგზავრა სომხეთში. (აზნ.)

**პოღოს ნუბარის დეპეშა**

პოღოს ნუბარი პარიზიდან უგზავნის დეპეშას სომხეთის მთავრობას, რომ იგი მიიღებს იმ პირობებს რომელიც კოალიციურ მთავრობის შედგენის საკითხთან არის დაკავშირებული.

**სომხეთის დელეგაცია ლონდონში**

(სომ. მის. ცნობა)

სომხეთის დელეგაცია პარიზში ლონდონს გაემგზავრა.

**მაძღარო მოქალაქე. დაამტკიცე, რომ მშიერის გაგება შეგიძლიან დაეხმარე გორში დაზარალებულთ.**

## რ უ ს ე თ ი

**ფორმულა ბოლშევიზმის წინააღმდეგ**

სკანდინავიის სახელმწიფოების მშრომელთა კონგრესმა, ბრანტინგის წინადადებით, გამოიტანა ფორმულა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, თუმცა ნორვეგიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ ხმა მისცა ბოლშევიზმის სასარგებლოდ. (ტან).

**მოკავშირენი, საბჭოთა რუსეთი და განაპირა ქვეყნები**

„პტიტ პარიზიენ"-ის კორესპონდენტი ლონდონიდან იტყობინება, რომ თუმცა მოკავშირენი იჭერენ რუსეთთან ეკონომიურ კავშირს, მაგრამ ისინი მაინც არავითარ ურთიერთობას არ დაიჭერენ საბჭოთა მთავრობასთან. მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელნიც მდებარეობენ განაპირა ადგილებზე—საშუალება მიეცემათ მოსკოვის მთავრობასთან როგორც უნდათ ისე დაიჭირონ საქმე. იმ შემთხვევაში თუ პოლონეთის ან რუმინიის თავს დაესხნენ ბოლშევიკები, მაშინ მათ მოკავშირენი მიეშველებიან.

**ლონდონის კონფერენციის დეკლარაცია რუსეთის საქმეების შესახებ**

(საქ. დეპ. სააგ.)

„პტი პარიზიენი" იძლევა ცნობებს ლონდონის კონფერენციაზე მომხდარ კამათის შესახებ. კონფერენციამ დეკლარაცია გამოაქვეყნა რუსეთის საკითხის შესახებ. ამ დოკუმენტის დამახასიათებელი პრინციპებია: სავაჭრო დამოკიდებულობის განახლება და დასაბუთებული უარი მოსკოვთან დიპლომატიურ კავშირის დაჭერაზე, ამას გარდა გადაწყვეტილია მოახდინონ ანკეტა რუსეთის ნამდვილ მდგომარეობის გასაცნობათ და ამ საქმეთა გასარკვევად გასაგზავნ პირთა დანიშვნა კონფერენციამ ერთა ლიგას მიანდო, საინტერესოა აღვნიშნოთ, ამბობს გაზეთი, რომ კონფერენციას არ მიუმართავს შრომის საერთაშორისო ბიუროსათვის, რომლის თავმჯდომარედაც ალბერ ტომა არის და რომელიც ერთა ლიგის მიერ არის დაარსებული. თვით საბჭოს კი მიმართა თხოვნით დანიშნოს პირები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეასრულებენ ამ მისიას.

**ვილსონი და მილიერანი ნიტტისა და ლლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ**

ვილსონმა და მილერანმა უარყვეს ნიტტისა და ლლოიდ-ჯორჯის საიდუმლო წინადადება საბჭოთა რესპუბლიკის ცნობის შესახებ, მაგრამ არც ის გამოსავალი, რომ რუსეთთან კო-

მერციული დამოკიდებულება დაიჭირონ, ვერ ჩასთვალეს სწორ და დამაკმაყოფილებელ საშუალებათ.

**სამოცამდე სოფელი დაინგრა თუ ქვის გული არა გაქვს მათ დახმარებას არ დაიშურებ. შესწირეთ ფული.**

## საფრანგეთი

**საფრანგეთის პრესა ინგლისის საფრანგეთისადმი დამოკიდებულების გამო**

(საქ. დეპ. სააგ.)

საფრანგეთის პრესა ინგლისს ცხარეთ უტევს საფრანგეთისადმი მისი დამოკიდებულების გამო. ის სჩივის, რომ ინგლისელებმა ხელშეკრულობით ყველაფერი ნაღდათ მიიღეს იმ დროს, როდესაც საფრანგეთმა მიიღო მხოლოდ „გარანტიები" მომავალ გადასახადებისა, ინგლისელები ეხლა ცდილობენ ამ გარანტიების შესახებ ვალდებულებანი თავიდან აიშოროს, ინგლისელები, რომლებიც ომიდან მეტისმეტად გადიდებული იმპერიათ გამოვიდნენ ყოველდღე ლაპარაკობენ საფრანგეთის იმპერიალიზმზე, როგორც ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულების ხელის შემშლელ მოვლენაზე. ეს სარკასტიულია. ინგლისი უარს ამბობს ჩვენს წინადადებაზე, რომ სამხედრო კავშირი შევქმნათ. ასეთი კავშირი ეწინააღმდეგება ჩვენს ტრადიციებსო. ეს საჭირო არ არის, რადგანაც ჩვენ მუდამ თქვენ მხარეზე ვიქნებით, თუ კი ჩვენი ინტერესები ერთმანეთს შეუთანხმდება. ჩვენი წინადადება, რეინის პროვინციების ოკუპაციის შესახებ, ინგლისს არ მოსწონს. ინგლისი ვეღარ უცქერის გერმანიის საშიშროებას. ყველა მისი ვაჭარს სურს გერმანიასა და რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინოს. რაც შეეხება ჩვენდამი მის ეკონომიურ დახმარებას, იგი მიგვითითებს ჩვენ ცუდ ფინანსებზე, ჩვენ გადასადეთა სისტემაზე, რომელიც ომის დროს გამდიდრებულთ მფარველობას უწევს, ან მოჰყავს, სხვა რაიმე მიზეზი, როგორც ამ შემთხვევაში, როდესაც მან საფრანგეთს წაართვა სამართლიანი წილი გერმანიის წინანდელ სავაჭრო გემებში.

**შენ შვილი გყავს და გიყვარს წარმოიდგინე ის ერთ წუთში ყინვაში და მშიერი, ასეა გორელი ბავშვები. დაეხმარე მათ.**

## ოსმალეთი

**რუსეთში და ბულგარეთში გამგზავრება აკრძალულია**

საზავო კომისიამ მოახდინა განკარგულება, რომ თანამედროვე მდგომარეობისა გამო აკრძალულ იქნას რუსეთში და ბულგარეთში გამგზავრება. ამის გამო ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ ამ ქვეყნებში გასამგზავრებლად მოწმობები (პასპორტები) არ მიეცემა.

**ტრაპიზონი და ბერძნები**

გაზ. „ალ-ბაირაკ"-ის სიტყვით, ბათუმში ბერძნები, სომხებთან ერთად, არიგებენ პროგრამებს ტრაპიზონზე, ერზერუმზე და ვანზე თავდასხმის ხელის შესაწყობად. ეს გარემოება უკარნახებს ოსმალეთის მთავრობას აუკრძალოს ბერძნებს (და, ცხადია, სომხებსაც) ტრაპიზონში და სამსუნში შესვლა და მათი მიწები დაურიგდეს „რუსთა მფლობელობისაგან დაზარალებულ" ოსმალო მცხოვრებთ. (აზნ.).

**შინაგან საქმეთა მინისტ. გადადგომა**

შინაგან საქმეთა მინისტრმა დამად შერიფ ფაშამ, თავისი მეუღლის სიკვდილით დამწუხრებულმა დიდებულ ვეზირს თანამდებობიდან გადადგომა გამოსთხოვა, ვეზირმა შერიფ-ფაშას თხოვნა შეიწყნარა.

**დიდი ვეზირის გამოსვლა.**

თებერვლის 2-ს სხდომაზე პარლამენტში ოსმალეთის დიდი ვეზირი ალი მირზა-ფაშა წარსდგა მთავრობის წინაშე დეკლარაციით.

**ხოლერის გათავება**

უკანასკნელ ხანებში კონსტანტინოპოლში ხოლერას თავი აღარ უჩენია.

**მიტინგი კონსტანტინოპოლში**

კონსტანტინოპოლში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც ცხარე პროტესტი გამოიტანეს ოსმალოების ევროპიდან განდევნის შესახებ. მიტინგს დაესწრნენ მოკავშირეთა არმიის ოფიცრებიც. ყველა ორატორები გამოსთქვამდენ საფრანგეთისადმი კეთილ განწყობილებას. შეადგინეს რეზოლიუცია და ოქმი პროტესტით დაგზავნეს ყველა ოსმალეთის ვილაეტებში და მოკავშირეთა სახელმწიფოებში.

**ოსმალეთის ბიუჯეტი**

ახლომომავალში ოსმალეთის პარლამენტში განხილული იქნება ოსმალეთის მთავრობის ბიუჯეტი.

# გაზეთ „საქართველოს"
# გასასყიდათ
**ქუჩებში გვესაჭიროება მორბედი**
# ბ ა ვ შ ვ ე ბ ი
იკითხეთ გაზეთ „საქართველოს" კანტორაში.

**უდიდესი სიმდიდრე მოყვასის სიყვარულია შეიძინე ეს სიმდიდრე შესწირე უსახლ-კარო გორელებს.**

**მუშავ შენი ღარიბი გროში ცრემლებს მოსწმენდს უდედ-მამო ობლებს.**

**ოსმალეთის საკითხი**

(საქ. დეპ. სააგ.)

ოსმალეთის საკითხის შესახებ მილიერანმა განაცხადა, რომ ოთხშაბათის კონფერენცია გამოსცემს გადაწყვეტილებათა პირველ სერიას, რომელიც მომავალ ხელშეკრულების ჩარჩო იქნენება. ამ გადაწყვეტილებათა ძირითადი დებულებანი უკვე ცნობილია: ოსმალთა დატოვება კონსტანტინეპოლში, სირიაში საფრანგეთის მანდატის განმტკიცება, სომხეთის სტატუტის დამტკიცება და სხვა დანარჩენი კითხვები უმთავრესად შეეხება ოსმალეთის განსაზღვრას ევროპაში. მილიერანის სიტყვით, ეხლა ძნელია იმაზე მსჯელობა სწორია თუ არა ევროპაში თურქების შესახებ გადაწყვეტილება. „პტი პარიზიენი"-ს უმთავრესი პირობანი, რომელიც ოსმალეთმა უნდა მიიღოს უკვე დადგენილია, მათ შორის საერთაშორისო კონტროლი და განსაკუთრებით კონტროლი ოტომანთა იმპერიაზე.

(საბერძნ. მისიის ცნობები)

**ოსმალეთის განიარაღება,**

თანახმად კონსტანტინეპოლში მიღებულ ცნობებისა, საზავო ხელშეკრულობას განზრახვად აქვს, ოსმალეთის სრული განიარაღება.

**წმ. საყდარი აია-სოფია.**

ვატიკანი უარჰყოფს იმ ცნობას, რომლითაც თითქოს წმ. საყდარი წმ. სოფიაზე დაპატრონების სურვილს აცხადებდეს.

**ინგლისის ფლოტილია კონსტანტინეპოლში.**

თებერვლის 22 ს ინგლისის პირველი ფლოტილია ხუთი დიდი გემისაგან შემდგარი ოქროს რქაში შევიდა.

**ოსმალეთის პარლამენტში**

გაიმართა ოსმალეთის პარლამენტის ფარული სხდომა, რომელზედაც განმარტებებით გამოვიდა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**პრინც საბა-ედინი.**

ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს პრინცი საბა-ედინი და შინაგან საქმ. ყოფილი მინისტრი სახელმწიფო საბჭოს წევრებად დანიშნოს.

## ავსტრია

(საქ. დ. სააგ.)

**სლავიანთა შეთქმულობა იტალიელთა წინააღმდეგ.**

ავსტრიის პრესა იუწყება: ავსტრიაში იტალიელების წინააღმდეგ სლავიანთა დიდი შეთქმულობა აღმოაჩინეს და რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ავსტრიაში საერთო რევოლიუცია მოაწყო.

**ეროვნული სესხი.**

ეროვნულ სესხზე ხელის მოწერა განუწყვეტლივ გრძელდება, მან 16 მილიარდს გადაამეტა.

## საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობა

(საბერძნეთის მისიის ცნობა).

**საქართველო და საბერძნეთი.**

საბერძნეთის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში ინახულა საქართველოს წარმომადგენელმა და მასთან ხანგრძლივი საუბარი იქონია.

**საქართველოს წარმომადგენელი მსოფლიო პატრიარქთან.**

საქართველოს წარმომადგენელმა კონსტანტინეპოლში ინახულა მსოფლიო პატრიარქი და გადასცა მას სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის წერილი.

## იტალიის პრესა საქართველოს მთავრობის მიერ იტალიის მისიის თავმჯდომარის მიღებაზე.

(საქ. დეპ. სააგ.)

იტალიის პრესა იუწყება და სიამოვნებით განმარტავს საქართველოს მთავრობის მიერ ამიერ კავკასიაში გაგზავნილ იტალიის მისიის თავმჯდომარის მიღებას. ტკბილი საუბრის შემდეგ იტალიის წარმომადგენელმა გააცნო მათ მისიის წევრები და წარმოსთქვა სიტყვა ორივე მხარის შორის უფრო მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებათა განვითარების აუცილებლობის შესახებ. სიტყვას ტაშის ცემით შეეგებენ. შემდეგ მისია დაესწრო დამფუძნებელი კრების სხდომას, სადაც იგი მხურვალე სიმპატიით მიიღეს.

## პარტიული ცხოვრება

**ერ. დემოკრ. სტუდენტთა საყურადღებოთ,**

კვირას 29 თებერვალს შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება. პარტიული ამხანაგები მოწვეულნი არიან გამოცხადდნენ. დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

**თუ გორის ლირსეულად არ დახმარებიხარ ადამიანათ არ ჩაითვლები.**

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი

**მთავრობაში**

17 თებერვალს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**რაჭა ლეჩხუმის მიწერა ქუთაისის სასამართლო ოლქზე.**

რაჭა ლეჩხუმის სასამართლო ოლქი ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მოწყობამდე მიეწეროს ქუთაისის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას.

**მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი მესხეთ-ჯავახეთ არტაანში.**

მიღებულ იქმნას დამფუძნებელ კრებისთვის გადასაცემათ მესხეთ-ჯავახეთ არტაანის ოლქში სამომრიგებლო ინსტიტუტის შემოღების დეკრეტი შტატებითურთ, რომელზედაც გავრცელდეს თებერვლის მომატება.

**სამხედრო სასამართლოს შეერთება საერთო სასამართლოსთან.**

იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინოს სამხედრო სასამართლოს საერთო სასამართლოსთან შეერთების პროექტი.

**სამხედრო სასამართლოს შტატების დამტკიცება.**

მიღებულ იქმნას დამფუძნებელ კრებაში გადასაცემად დეკრეტი სამხედრო სასამართლოს და საპროკურორო შტატების დამტკიცებისა. ხსენებულ შტატებზე გავრცელდეს თებერვლის მომატება.

**არსებულ კანონმდებლობის გადასინჯვა.**

მოქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის დაარსების დეკრეტის წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვაში სტამბის ხარჯებისთვის ნავარაუდევი თანხა (400 ათასი მან.) შემცირდეს ნახევრამდე.

**სკოლის გარეშე სწავლა.**

სკოლის გარეშე სწავლის შემოსავლებად გადაიდოს ორი მილიონი მან. განათლების მინისტრმა სათანადო დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**გზათა უწყების მოსამსახურეთა „დღიური ფული".**

მიღებულ იქნას დამფუძნებელ კრებაში გადასაცემად პროექტი დეკრეტისა. გზათა უწყების მოსამსახურეთა დღიური ფულის მომატების შესახებ. ბათუმ-ნატანების უბანში მყოფ მოსამსახურეთათვის დაწესებულ იქმნას ნორმა „უბნის გარეშე". სად. ალსტაფაში, სადაც ცხოვრება შედარებით იაფია, მუდმივ სამსახურის დროს დაწესდეს ნორმა „უბანში", ხოლო მივლინების დროს კი—ნორმა „უბნის გარეშე".

**დანიშვნა.**

ნაფიც ვექილის თანაშემწე იოსებ დავითის-ძე ციციშვილი დაინიშნა თბილისის საგანგებო სასამართლოს წევრად.

**სხვა და სხვა ამბები**

— **სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა იწვევს მასწავლებლებს სიღნ. სამაზრო სკოლებისათვის არა ნაკლებ**

**დღეს შენ შეიცოდე მეზობელი შეიძლება ხვალ მან გამოგიწოდოს ხელი. დაეხმარე, თვალ-ცრემლიან სოფლელებს.**

2,300 მან. ჯამაგირით თვეში. ამაში არ შედის დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული დამატება 60 პროცენტიდან. გარდა ამისა ეძლევათ უფასოდ ბინა და შეშა. მსურველთ შეუძლიან დაუყონებლივ მიმართონ სამაზრო საერობო გამგეობას სიღნაღში გინდ პირადად სიღნ. სამ. საერ. გამგეობის რწმუნებულს კირილე ნიკოლეიშვილს თბილისში. საპიორის ქუჩ. ს. № 37 დილით 9 ს. სღ. 4 საათ.

**ახპინძის ომის 150 წლის იუბილე.**

5 მარტს სრული 150 წელიწადი სრულდება მას შემდეგ რაც მეფე ირაკლი მეორემ და საქართველოს ლაშქარმა სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა ისტორიულ ასპინძის მიდამოებში. განზრახულია იუბილეს დღესასწაული შესაფერ სახით.

**დამფუძნ. კრების საარჩევნო დებულების დამატება,**

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა მთავრობას უკვე გადასცა დამფ. კრების საარჩევნო დებულების დამატება (სოხუმის ოლქში არჩევნების მოხდენის წესის შესახებ).

**ნაფიც თარჯიმანთა და ნოტარიუსთა ინსტიტუტი**

იუსტიციის სამინისტროში ამ ჟამად მუშავდება საქართველოში ნაფიც თარჯიმანთა და ნოტარიუსთა საკითხი.

**სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმალური წესდება.**

განათლების სამინისტრო იმუშავებს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუდმივ ნორმალურ წესდებას.

**მთავრობის ცენტრალური საავთიაქო საწყობში.**

მიწადმოქმედების მინისტრმა მთავრობას წარუდგინა ამას წინად მომართულ საგანგებო თათბირის დადგენილება მოხსენებით მთავრობის ცენტრალურ საავთიაქო საწყობის დაარსების შესახებ.

— „მევენახეობის და მეღვინეობის" მორიგი № 3 კოტე ბერიკაშვილის რედაქტორობით უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. ცალკე №№ გაიყიდება რკინის გზის კიოსკებში და კონტორა „განათლებაში".

**კ რ ე ბ ე ბ ი**

**საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.**

დღეს, 28 თებერვალს, სალამოს 7 საათზე, ეროვნულ ქუჩ. № 11, გაიხსნება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც მიწის ძვრასთან დაკავშირებული საკითხები იქნება განხილული.

**სამხატვრო ქრონიკა**

**დრამატიულ საზოგადოებაში.** დღეს 28 თებერვალს, სალამოს 8 საათზე სასახლეში, სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის ოთახში დანიშნულია დრამატ. საზოგადოების გამგეობის სხდომა. განსახილველია ფრიად საშური საკითხები.

**ა. ინაშვილის ბენეფისი.** მარტის 2-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ინაშვილის ბენეფისი. წარმოადგენენ „თაის" ვოლლევიცკაიას მონაწილეობით.

**ნ. კოშიცის გასტროლები.** ორშაბათიდან მარტის 1-დან დაიწყება მეორე სერია გასტროლებისა. პირველი გასტროლი „ედოვკა"-თი დაიწყება.

**შენ მოქალაქე ხარ უნდა შეგრცხვეს, თუ გორის აღდგენაში საკმაო მონაწილეობა არ მიგიღია.**

# თ ე ა ტ რ ი

**დ ღ ე ს:**

**სახელმწიფო თეატრი**—„სევილიელი დალაქი».

„ტარტო"-ს დრამა—„სულელი".

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. ი თ ო მ ი.**

ქალაქის მცხოვრებლებზე შაქრის დარიგება უკვე დაიწყეს. სულზე იძლევიან 4 გირვანქას. გირვანქა შაქარი 50 მან. ფასობს.

— ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში ხმის უფლება აქვს სულ 14,079 კაცს მათ შორის ქართველი არის 5158 კაცი, ბერძენი—2875, სომეხი—2448, რუსი—1931, თურქი—383 და სხ.

— ამ დღეებში თბილისის ქალაქთა კავშირმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 15 მილიონი მანეთის მანუფაქტურა, მანუფაქტურა ამ დღეებში გაიყიდება საქართველოს სხვა და სხვა ქალაქების მაღაზიებში.

— ამ დღეებში თბილისში მუშაობას დაიწყებს ქალაქთა კავშირის ავეჯეულობის ახალი ქარხანა.

**შენ ომით გამდიდრებულხარ დაეხმარე უსახლ-კარო ქართლელებს.**

## უკანასკნელი ცნობები

**ტუაფსეს აღება**

(საკ. კორესპონდენტის ცნობა)

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ბათომიდან დეპეშით გვატყობინებს, რომ მწვანე არმიელებმა დენიკინის ჯარი განდევნეს ტუაფსედან და თვითონ ქალაქში შევიდნენ.

**სურსათი კავკავიდან**

კავკავში მყოფ მთავრობის წარმომადგენლებმა ბ-ბ მაჩაბელმა და გურულმა პირდაპირი მავთულით აცნობეს მთავრობას რომ თბილისისთვის უკვე შეძენილია მრავალი სურსათი განსაკუთრებით სიმინდი და ხორბალი და სთხოვენ გაუგზავნონ საკმაო რიცხვი ტომრების მათ გადმოსაზიდავად.

**დონ-ყუბან თერგის წარმომადგენელნი**

გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას და საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს წარუდგნენ დონ ყუბანისა და თერგის წარმომადგენელნი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მათთან.

**ბ ნი გეგეჭკორი მისტერ ოლივერ უორდროპთან**

გუშინ 27 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ გეგეჭკორმა ინახულა დიდი ბრიტანიის მთავარი კომისარი მისტერ ოლივერ უორდროპი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან.

**საქართველოს წარმომადგენლის დაბრუნება ჩრდილო კავკასიიდან**

კავკავიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს წარმომადგენლად ჩრდილო კავკასიაში ამას წინად გაგზავნილი დამფუძნებელი კრების წევრი გ. ფაღავა.

## სამეწ.-სამრეწვ. პალატა

**სავაჭრო ბიულეტენი.**

ქ. თბილისი, 21 თებერვალი 1920 წ.

**კ უ რ ს ი**

| | | |
|---|---|---|
| სტერლინგი: | | |
| ა) ბანკნოტი | 900 | მ. |
| ბ) ჩეკი | 850 | „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | 27 | „ |
| ჩეკი | 19-20 | „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | 18-50 | „ |
| ჩეკი | 17-50 | „ |
| ლირა ოსმალური: | | |
| ა) ოქროს | 1470 | „ |
| ბ) ქაღალდის | 250 | „ |
| ჩეკი | 246 | „ |
| მარკა გერმანული | 7 | „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | | |
| ა) ასი მანეთიანი | 260 | „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 1325 | „ |
| 96° ოქრო | 700 | „ |
| ვერცხლი 84° | 15 | „ |
| ფასიანი ქაღალდები: | | |
| თბილ. სათავ.-მამულო ბანკ. | | |
| გირავნ. ფურცლ. | 97 | „ |
| ქუთაისისა | 83 | „ |
| თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია | 98 | „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 1500 | „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 360 | „ |
| ვაჭართა ბანკ. | 350 | „ |
| ქარ. სატრ. საზ. აქც. | — | „ |
| რენტა | 215 | „ |

**მეზობელო. გორის დაზარალებულთათვის რამდენი გადასდევი.**

## მოწოდება

სასტუმროთა ავეჯეულობით მოწყობილ ოთახებთა, პირველი ხარისხის რესტორანების და კლუბების მეპატრონეთა მიმართ.

საკმარისად გათვალისწინებულია ის უბედურება, რომელიც მიწის ძვრით თავს დაატყდა გორს და მის ახლოს მდებარე სოფლებს. ამიტომ ყოველი მოქალაქეს ვალია გაუწიოს დახმარება გაუბედურებულთ, ვისაც როგორ შეუძლია. გულმოდგინედ მოვკიდოთ ხელი და გავიღოთ ჩვენი წვლილი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დღეს, შაბათი თებერვლის 28 დანიშნულია დაზარალებულთა დამხმარი დღედ რისთვისაც მოვუწოდებთ ყველა სასტუმროების ავეჯით მოწყობილ ოთახების რესტორანების და კლუბების მეპატრონეებს ამ დღის ნავაჭრიდან პირველ ორი კატეგორიის მოვაჭრეებმა 50 პროც. და რესტორანისამ 10 პროც. გადასდოს და შეგროვილი თანხა გადასცეთ გამგეობის რწმუნებულთ გადასაცემათ მიწის ძვრით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს. დიდი მადლობით მიიღება აგრეთვე შემოწირულებანი მოსამსახურეებიდან.

სასტუმროების ავეჯით მოწყობილ ოთახების და რესტორანების მეპატრონეების ერთ-ერთ შორის დამხმარე. გამგეობა.

ადამიანობა მოითხოვს გაიღო გორელებისათვის.

# ნეიტრალურ ზონაში

ნეიტრალურ ზონის კომისარი ბლ. ლორთქიფანიძე წარუდგა ვრცელი მოხსენებით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნს ჰიჰინაძეს. მოხსენების უმთავრესი საკითხებს შეადგენს.

**ბოლშევიკების აგიტაცია.**

ნეიტრალურ ზონაში ბლომად გაჩენილან ბოლშევიკები რომელთაც ხელმძღვანელობენ აზერბაიჯანიდან გამოქცეული მაჰმადიანი და ს. ერზიკიანი. ეს პირნი დიდ ფულს ხარჯავენ საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის საწარმოებლად.

**ორგანიზაციის შექმნა.**

ბოლშევიკებს შემოუკრებიათ ნაძირალთა ძალები დაუარსებიათ ეგრედ ოდეწოდებული „ერობის გამგეობის" სახით ცალკე ფუნქციებით, ამ დაწესებულებას სათავეში უდგას სომხის მთავრობიდან დევნილი ყოფილი ესერი ა. ატანესიანი, რომელიც ერობათა კოოპერატივების რისხვად მოვლენია. მოუტანია ქვა-მარილი ნაყიდი 40 მ. ერევანში და ჩვენ ფულზე 175 მ. აძლევს ათასგვარ განკარგულებებს. აღელვებულ ხალხს მიწის სოციალიზაციით ატყუებს.

**ბრძოლა ამერიკის კონსულისადმი**

ესენი მადლობის ნაგიერ ებრძვიან ამერიკის გუბერნატორ მაიორ ლევიკსონს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებს ყოველ თვიურად აწვდის 6 ვაგონ თეთრ ფქვილს და ამ მოკლე ხანში გამოუგზავნია 1 ვაგონი თბილი ტანსაცმელი მათთვისვე.

**არა ლეგალური გაზეთი**

ამ ხელმძღვანელებსავე გამოუციათ არა ლეგალური გაზეთი ერევანში სახელად „ლორის გლეხის ხმა" და ავრცელებენ თითქოს იგი ნეიტრალ ზონაში იბეჭდებოდეს.

**ახალ კომისრის დანიშნა**

მათთან მტკიცე კონტაქტში იმყოფება ძველი სომხის კომისარი პოდპოლკ. ვართაპეტიანი, რომელიც ამღვრევდა ისედაც მღვრიე წყალს. მის მაგივრად დაუნიშნავს სომხის მთავრობას ახალი კომისარი ნაფიცი ვექილი მამიკონიანი.

**ნეიტრალურ ზონაში ეხლა სიწყნარეა**

ამ ახალ კომისრის დანიშვნის შემდეგ ნეიტრალ ზონაში შედარებითი სიწყნარეა ვინაიდან ყველა ნაძირალნი წინანდელ კომისრის ზედგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ზონის კომისარი ბ. ლორთქიფანიძემ ეხლა სრულ კონტაქტში იმყოფება და მუშაობაც გაადვილებულა ნაძირალთა წინააღმდეგ. ბ-ნ ჰიჰინაძეს გულდასმით მოუსმენია ეს მოხსენება და ლორთქიფანიძის მოხსენების ზონათა გეგმანი მოუწონებია.

ღალატობ სინიდის თუ ზევრი გაქვთ და ღ ორმის შესასრულებლათ ცოტას ეხმარებით.

ყოველ დღეს დაეკითხე შენს თავს რა გააკეთე ულუკმოთ დარჩენილ გორელებისათვის.

# ნამდვილი სოციალიზმი

„Stamboul"-ი სწერს: სოციალური საკითხი ამ ქამად ყველა საკითხებზე დიდ ყურადღებას იქცევს. „თუ გკითხონონ: თქვენ სოციალისტი ხართ? აჩქარებულნი ნუ უპასუხებთ არა თქო, და ამასთან ნურც კილოზე დაიჩნევთ, რომ კითხვა გეწყინათ.

ნუ ინებებთ ამას, რადგან თქვენ სოციალისტი ხართ.

ასე თვით სარდინიის მეფემაც განაცხადა, რომ იგი სოციალისტია. რობერტ ფლერმა, რომელმაც პირველად ეს გაიგო, მთელ ქვეყანას აუწყა.

მეფე, პრეზიდენტი, მინისტრი, მილიონის პატრონი, ექიმი, როტშილდი, თქვენ, თქვენი უმორჩილესი მონა, ჩვენ ყველანი სოციალისტები ვართ. მხოლოდ საჭიროა დაისვას საკითხი, თუ როგორი გვესმის ჩვენ სოციალისტობა.

ლენინ-ულიანოვი და ტროცკი ამბობენ, რომ ისინი არიან სოციალისტები, ისინი თავიანთ თავს ხთვლიან მარქსიზმის მოციქულებად, ხოლო მარქსიზმი მათ ბოლშევიზმად მონათლეს და ავიანთ სწავლას ესენი სისხლით და მახვილით ამყარებენ. ჰსურთ გარდაჰქმნან საზოგადოება და მას სისხლში აცურავებენ, ანადგურებენ. ეს რადიკალი საშუალებაა სოციალურ საკითხის გადასაწყვეტად. როდესაც არ იქნება ამ ქვეყნად ხალხი, კრასინები, ლენინები და ტროცკები გამოვა, რომ მათ თავიანთი თავი ამოიჭამეს. აი როგორი იქნება ბოლშევიზმის დასასრული ლენინის და ტროცკის მაგვარი ბოლშევიკები სოციალისტები კი არ არიან არამედ სრული მხეცები.

ჩვენ გვყავან ადეპტები, რომელთაც სურთ ისარგებლონ ბოლშევიკების წრის გადასულობით, რომელთაც, თუმცა არ მოსწონთ მათი სიმაცენი, მაგრამ ამის და მიუხედავად უხარიათ მათი ცხოვრებაში გამოყენება. ესენი არიან ლონგეს და მაკდონალდის ყაიდის ბოლშევიკები, რომლებიც ავრცელებენ ამ უბრალო და დემაგოგიურ ლეგენდას: ყველაფერი ეს კაპიტალიზმის შეცდომაა. ომი, კაპიტალიზმი გერმანული წარმოშობის სიტყვებია და ეკუთვნის გერმანელ კარლოს მარქს, რომელმაც ეს სიტყვები გამოისროლა.

გერმანულ ჩვეულებრისამებრ მან გან მტკიცა ეს სიტყვები წიგნით, რომელიც სახარებად გადიქცა, და რომელიც ემყარება იმ ფუნდამენტალ და უხეშ შეცდომაზე, რომ კონკურენცია არის ყველა იმ უბედურების დასაწყისი, რომლითაც იტანჯვის საზოგადოება, საჭიროა მისი მოსპობა. ეს კი მოსპობს კერძო ინიციატივას, ე. ი. ყოველივე გამარჯვების საჭირო პირობას. ამ გვარად კომუნიზმი არ ბკმაყოფილებს ადამიანს გულის სიღრმეში ჩამარხულ მისწრაფებას პროგრესისა და მელიორაციისადმი.

სოციალისტობა კი ნიშნავს ისეთ სოციალურ რეფორმების მომხრეობას, რომლებიც ამ სურვილის ასრულებას დაეხმარება ამიტომ ყველა მემარჯვენე ამ მარივ სოციალისტია.

საზოგადოებრივ უშიშროების განვითარება, მუშათა სახლების გაშენება, ჰიგიენის დაწესებულებათა გაუმჯობესება, მუშათა საბჭოების დაარსება, არბიტრაჟი, ყველაფერი ეს რევოლუციაა და არა ქიმირები და კომუნიზმი.

დაეხმარეთ მიწისძვრისაგან დაზარალებულებს.

# პატარა ფელეტონი.

## 3 ნ როგორ მოქმ დოჯს მიწის ძვრის დროს

(მემუარებიდამ)

I

მექსიკაში ავრე რომ საშინელი მიწის ძვრა იყო და თითქმის მთლად გაანადგურა ქალაქი, მოხელე ნიკსო, მის მაგიერ, რომ თავის დაქცეულ ოჯახისთვის მიეპატრონა, იმ წამსვე გაიქცა თავის უფროსთან და მოახსენა:

— მე დღეს შეიძლება სამსახურში მოსვლა დამაგვიანდეს, ან სრულებით არ მოვიდეო.

— რა ამბავია?

— მიწის ძვრისაგან სახლი დამექცა.

— ჰმ! ყოჩაღ! ცოცხლებს უნდა პატრონობა,—მოეწონა უფროსს თავის ხელქვეითის ერთგულობა:—აი მეც ამ დილა ადრიან ავდექი ფეხზე მიწის ძვრის გამო, თორემ ძილი მექნებოდა გამოსაცხობიო... დიახ, წადი და მალე მოდი, სამსახურს არა ეღალატებაო...

. . . . . . . . .

II

უწინ, სულ უწინ, ადესაში რომ მიწის ძვრა იყო, ერთი ვ ქარი ებრაელი ხაიმი გამოიქცა სახლიდამ ბაზარში... ცოლის ფეხსაცმლებით და წინდებით, რასაკვირველია გასაყიდათ...

— ამ დროს რასა ჰყიდი ძმობილო, თავი როგორ დააღწიე მიწის ძვრას? —შეეკითხა მყიდველი: რას აფასებ?

— რაღა თქმა უნდა იაფი არ იქმნება,—უპასუხა ხაიმ: იმდენი მაინც მომეცი რომ ცოლი დავმარხო...

— როგორ თუ...

— დედამიწის ძვრამ ცოლი მომიკლა: გადმონგრეულ კედლებმა იგი დაიტანეს. . . . . . .

III

ამ რამდენიმე ათი წლის წინად, შემახაში რომ მიწის ძვრა მოხდა, როგორც იტყვიან ქვა-ქვაზედაც არ დარჩა: მიწამ გაასწორა ქალაქი...

ტერტერა პოლოსა წამოვარდა ლოგინიდან და გაექანა საყდრისკენ, სულ დაავიწყდა ოჯახი.

პოლოსას უნდოდა სამრეკლოზე ასულიყო და ზარები დაეკრა ნიშნად უბედურობისა, მაგრამ... საყდარი აღარ დაჰხვდა—დანგრეულიყო...

პოლოსა გაექანა არხიმანდრიტთან... ვნახოთ მის ბინიდამ ვიღაც ქალი გამოდიოდა.

— შენ აქ რა გინდა,—იცნო პოლოსამ თავის ფოფოდიი: მე შენ სახლში მეგულებოდი...

— წმინდას შევაფარე თავი,—თავს იმართლებდა ცოლი: აგი სული არ მომეკარა წმიდა კაცთან, ხომ ხედამ გადავრჩი. მთელი ქალაქი კი დაიღუპა.. აქ გავათიე ღამე... .

. . . . . . . . .

IV.

რუსეთის ქალაქს როსტოვს რომ მიწის-ძვრა იწვია და ცეცხლიც გაუჩნდა ერთი გაზეთის რეპორტიორი მიხეი წამოვარდა ლოგინიდამ და შეველ ტიტველი გაიქცა რედაქციაში; რასაკვირველია იმ აზრით რომ სხვამ არ დამასწროს ამბის შეტყობინებაო.

— აღარ დეიცდიდი გათენებულიყო,—დაეკითხა კონტორის შვეიცარი: რა მოხდა, რამბავია? ეგრე დედა-შობილა როგორ წამოხ ელი, არა გრცხვენიაო?!

— რიღას სირცხვილია, ყველანი გაწყდნენ.

— მა რაღა ჯანდაბისთვის გინდა ცნობა რომ მოგაქვსო?

— ისტორიაში მოვყვებიო.

— ?!.

. . . . . . . . .

დუშელი ვანო.

# გორის დაზარალებულთა დამხმარე მთავარ ბიუროს მოწოდება

## მოქალაქენო!

„ქართლი ჩვენი ისტორიული დარაჯი იყო. სამშობლოს თავგანწირული მცველი.

მტერთა ურდოები ეხეთქებოდენ ქართლს, მაგრამ ის მტკიცეთ იდგა და თავის სისხლით იფარავდა მთელ საქართველოს. რაც ვერ მოახერხა მტერმა საუკუნეთა განმავლობაში, ის შესძლო ბუნების სასტიკმა მოვლენამ: ქართლის შუა გული განადგურებულია.

რამოდენიმე ათი ათასი სული უსახლკაროთ, უბინაოთ არის დარჩენილი. ჯავრს, მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას დაუსადგურებია იმათ გულში, ვინც ცოცხალი გადარჩა.

ცოცხლები მკვდრებს შენატრიან იმდენად საშინელია მათი მდგომარეობა. ვინ უნდა მოაშოროს მათ გულს ქვენესა და სასოწარკვეთილება.

ჩვენ ყველამ.

ვინ უნდა დაუბრუნოს მათ სულის სიმტკიცე და მხნეობა?

ჩვენ.

ვინ უნდა დაავიწყებიოს მათ საშინელი უბედურება?

ჩვენ.

რითი, რა საშუალებით?

გულუხვი შემოწირულებითა და ყოველი მხრივი დახმარებით.

„ფუჭად გავცემდეთ, ვავსებდეთ,—სიძუნწე უმეცრულია".

ამაზე უარესი დღე ჩვენს ძმებს არ გასთენებიათ და არ გაუთენდებათ, რა დღანაც მეტი უბედურება წარმოუდგენელია.

დღეს გსაჭიროებათ მათ ჩვენი დახმარება, ჩვენგან შველა და სირცხვილი იქნება, ისტორია შეგვაჩვენებს, რომ უხვი დახმარება არ აღმოუჩინოთ.

ვისაც ქუდი ხურავს, ადამიანობა და პატიოსნება სწამს, უკეთეს დროს ძვირად ნახავს: ხალხი გაუბედურებულია, მიწასთან გასწორებულია; ამოუდგეთ გვერდში ფეხზე დავაყენოთ, მკვდრის დასაცინავად ნუ გავხდით ნურც ჩვენ ძმებს, ნურც ჩვენს თავს.

ბუნების სიმკაცრეს დაუპირდაპი როთ ჩვენი გული; ბუნების უსამართლობას ჩვენი კაცთ-მოყვარეობა. თუ ბუნებამ ატირება შესძლო ჩვენის ძმებისა—ჩვენ უნდა შევსძლოთ მათი გაღიმება, თუ ბუნებამ შესძლო მათი გაუბედურება, ჩვენ მათი გაბედნიერება უნდა შევსძლოთ. თუ ბუნებამ შესძლო ჩვენი სოფლის დაქცევა, ჩვენ უნდა შევსძლოთ მათი აღდგენა.

ძმა ძმისთვისაო ამ დღისთვისაო, უთქვამს ჩვენ ხალხს.

გავამართლოთ ეს თქმულება, დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ჩვენ მართლაც შეგვძლებია ძმობა და მოძმის გატანა.

მოქალაქენო, გაუბედურებული მოძმეები ჩვენ მოგვჩერებიან.

ნუ თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ და ხელს არ გაუწვდით?

გაკანკალებული ქვრივ-ობლები ჩვენსკენ იყურებიან.

ნუ თუ ჩვენს გულში სიყვარულის და სიბრალულის ცეცხლი არ ღვივა?

დიდია უბედურება, დიდი უნდა იყოს ჩვენი დახმარებაც. აუტანელია დაზარალებულთა მდგომარეობა; უსაზღვრო უნდა იყოს ჩვენი გულუხობაც.

მოქალაქენო, გახსოვდეთ გაუბედურებული თანამემამულენი.

როდესაც თქვენს ცოლშვილში სტკბებით, მიწის ძვრისაგან უცრად დასჯილებსა და დაობლებულთ ნუ დაივიწყებთ. დაეხმაროთ უხვათ, დაეხმაროთ ღირსეულად.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

# მთ ვროვის საგანგებო კომიტეტის მოწოდება

ჩვენ ქვეყანას თავს დაატყდა უდიდესი საშინელება. რევოლიუციის და ომების ქარ-ცეცხლში გამარჯვებულ საქართველოს სტიქიურმა უბედურებამ ახალი განსაცდელი არგუნა. მიწის ძვრამ დაანგრია მშვენიერი ქართლის დედა ქალ. გორი. მთელ ქალაქში არ მოიძებნება არც ერთი საცხოვრებელი სახლი, ყველაფერი გაოხრებული და ჩამონგრეულია, ადამიანთა მსხვერპლი დიდია, ვინც დააღწია თავი უბედურებას—უსახლკარო სარჩო-საბადებელს მოკლებული ცის ქვეშ ქუჩაში გამოგდებული და თვალცრემლიანი, ადამიანის აჩრდილივით გამოიყურება. გორის ახლო მახლო სოფლები—სკრა, ხიდისთავი, ოხვრა, ატენი, ხოვლე, უფლისციხე, ქვახრელი, ყარალაჯი, ხელთუბანი, სვენეთი, თორტიზა, კარალეთი, მეჯვრის-ხევი, ბეთლემი, რუისი, ქარელი, ბებნისი, ტინის-ხიდი, ურბნისი, თედოწმინდა, ნავისი, ოლქისი, ღვარები, ზედაქვიშისი, დოესი, ხანდაკი, შინდისი, ბერბუკი, ოთარშენი, მეჯვეხი, გრაკალი, სასირეთი, ბარნაბიანთ-კარი, საძაშეთი, გორა, ავკეთი, რეხა, ახალსოფელი, ზემდეღეთი, შავშვები, ნაწრეთი, ახრისი, პატარა გორი-ჯვარი, დიდი გორი-ჯვარი და ჯებირი,—ეს მშვენიერი ქართლის ლურფა თბილული დანგრეულია, მოსპობილია ღამით, ძილის დროს ჩამოანგრია მათი სახლები და მიდამო. ამ საშინელებამ შეიწირა აუარებელი მსხვერპლი—მრავალი გამოასალმა წუთი სოფელს ჩვენი თანამოძმენი, მრავალი დაასახიჩრა და თუ ვინმეს გაუღიმა ბედმა და გადარჩა,—თავზარდაცემული გაურბის ამ საშინელების ადგილებს...

თავისუფალი საქართველოს ცხოვრების ცა დაჩრდილა გლოვამ და მწუხარების ღრუბელმა, საქართველო იმარჯვებდა მოწინააღმდეგეზე პირი-პირ იბრძოდა მტერს, რომლის ხილვა და მისი ნში ამოღება შესაძლებელი იყო, მაგრამ ეხლა მას შეევლინა უჩვეველი უხილავი მტერი ბუნების სტიქიური ძალა—მიწისძვრა, რომლის წინაღმდეგ უძლურია იარაღის, მეცნიერების და კაცობრიობის ყოველივე გონებრივი და ფიზიკური შემოქმედებითი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის ერთგულო მოქალაქენო!

დღემდე ქვეყანა იცნობდა და „ვაშას" უძახოდა თქვენს ბრძოლის უნარს, რო დესაც თავგამოდებით იცავდით თქვენს სამშობლოს და გაკაჟებულნი იცავდით თავისუფლებას [illegible].

ეხლა დადგა დრო თვითეულმა თქვენგანმა აწონოს თავისი გულის ტკბილი, კეთილი და ადამიანური გრძნობები.

ქართლის უბედურება მთელი ერის უბედურებაა და ის იწვევს ჩვენში უზომო მწუხარებას, მაგრამ ქართველი მოქალაქე ამ შემთხვევაშიც შეიძლებს გამოიჩინოს სამაგალითო გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა და ღირსეულათ შეასრულებს თავის მოვალეობას.

ამ საშინელ ამბავს ერთნაირი გულკეთილობით და გულის ტკივილით უნდა მიეგებოს მდიდარიც და ღარიბიც, დიდიც და პატარაც. ჩვენ ერთ სულოვანი ძმური დახმარებით უნდა შევუმსუბუქოთ დასახიჩრებულებს ტკივილები და ქვრივ-ობლებს და უსახლკაროთ დარჩენილებს გაუდევილოთ მწუხარე ხვედრი. ამით ჩვენ მოვიხდით დაზარალებულთა წინაშე ჩვენს ძმურს და ადამიანურ მოვალეობას, მაგრამ ეს იქნება მხოლოთ ჩვენი მოვალეობის ერთი ნახევრის შესრულება.

ჩვენ-კი გვაწევს უფრო დიდი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ქართლი არის საქართველოს ნამდვილი გული და ეს გული ყოველ ქართველმა საერთო ღონისძიებით უნდა გამოვამთელოთ, წყლულებისა და ტკივილებისაგან განვკურნოთ ძველი ქართლის ისტორიული ნაშტი—ქალაქი გორი და მის გარშემო დანგრეული სოფლები უნდა აღსდგნენ მკვრეთით და მათ ძველებურათ უნდა დაამშვენონ ჩვენი სამშობლო ქვეყნის ლამაზი და გმირული მკერდი.

მოქალაქენო! თქვენი მოძმე გორელები და სხვა დაზარალებულ ქართლის სოფლის მცხოვრებნი განსაცდელში იმყოფებიან.

დიდია დაზარალებულ მოძმეთა გაჭირვება!

მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები დაზარალებულთათვის საჩქარო დახმარების აღმოსაჩენათ, მაგრამ მარტო ეს დახმარება არ კმარა. საჭიროა ხალხი ამოუდგეს გვერდში მთავრობას და ხელახლა მოაწყოს უსახლკაროთ დარჩენილების ცხოვრება.

მოიხადეთ თქვენი მოვალეობა, დაეხმარეთ დაზარალებულებს რესპუბლიკის ერთგულნო შვილნო!

გამოეხმაურეთ ხალხის გაჭირვებას, შესწირეთ მათ სანუგეშოთ რის გაცემაც შეგიძლიანთ.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი.

# მოწოდება ტფილისის ექიმებს

წელიწადზედ მეტია, რაც დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირი. კავშირის მიზანია უმთავრესად დაიცვას წევრთა უფლებრივი და ეკონომიური ინტერესები, განახორციელოს ექიმთა ცხოვრებაში საექიმო ეთიური პრინციპები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საექიმო-სასანიტარო აღმშენებლობაში. ქუთაისის გუბერნიის ექიმთა ფილიალური განყოფილება, მე დროთ შეკავშირებული უკვე ნაყოფიერათ მუშაობს ამ ნიადაგზედ. თბილისის გუბერნიაში კი ასეთი მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, რადგან აქ ჯერ კიდევ არ მომხდარა ექიმთა შეკავშირება. ეს შეკავშირება უნდა მოხდეს თბილისის არსებულ ფილიალურ განყოფილების ირგვლივ. სამწუხაროთ ეს ფილიალური განყოფილება არ იჩენს საჭირო აქტივობას; რამოდენიმეჯერ დანიშნული კრება ფილიალისა არ შესდგა და ჯერ კიდევ მუდმივი გამგეობა არ არჩეულა. ცენტრალურ გამგეობის და ფილიალის დროებით გამგეობის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა უკანასკნელათ მოგმართოთ თქვენ მობრძანდეთ ფილიალის კრებაზედ კავკასიურ საექიმო საზოგადოების ბინაზე შაბათს 28 თებერვალს საღამოს 7 საათზე. აღვნიშნავთ, რომ თუ ეს კრებაც არ შესდგა ფილიალის არსებობას ბოლო მოეღება; თბილისის გუბერნიის ექიმთა შეკავშირებაც ძნელი იქნება და შესაძლებელია მთელი კავშირი რესპუბლიკის ექიმთა დაირღვეს. მაშინ მთელი პასუხის მგებლობა თბილისის ფილიალის წევრთა დ ეკისრება. წესრიგი: 1) მოხსენება გამგეობისა ფილიალის აუცილებელ საჭიროებაზედ. 2) მუდმივი გამგეობის არჩევანი და 3) მიმდინარე საკითხები.

ცენტრალურის და ფილიალის გამგეობანი.

# მუსიკა ქართულ სკოლაში

(მასწავლებელთა საყურადღებოდ—თანამშრომლისგან).

წარსულს შობა ახალწლის უქმეებში მოხდა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კრება. ამ კრებაზე სხვათა შორის აღიძრა კითხვა, მუსიკის შეტანისა ქართულ სკოლის პროგრამაში სავალდებულო საგნად; კითხვის გამხსენებელი ეკითხებოდა მასწავლებლებს: შეუძლიან მუსიკას რაიმე სამსახურის გაწევა გაგიწიოთ იმ მძიმე საქმეში, რასაც თქვენ ემსახურებით, თუ არაო?

რასაკვირველია, უფრო საინტერესო იყო პასუხი ამ კითხვებზედ მოვვესმინა თვით მასწავლებლებისაგან, მათ მსჯელობას ამ საგანზე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

რასაკვირველია, იმ სახით სიმღერა-მუსიკის შესწავლა და შეტანა სასკოლო პროგრამაში, რანაირადაც შეტანილია ჩვენს სკოლებში, ყოვლად შეუწყნარებელია; სიმღერა-მუსიკა რაღაც უნიადაგოდ არის შეჭრილი სკოლის პროგრამაში. დღეს ეს საგანი სწავლა-განათლების კედლებში ატუზულია, ნახევრად უარ ყოფილი; უნდათ იგი გამოაძევონ სკოლის ცხოვრებიდან, მაგრამ თითქოსაც ვერ დაუთმიათ იგი სკოლიდან. ამისთანა მდგომარეობა სიმღერა-მუსიკისა დღევანდელი ცხოვრების პირობებით არ არის შექმნილი; ეს უხერხულობა დიდი ხნის ამბავია, ხოლო თუ ეს საგანი იმ თავითვე განუყრელია სკოლასთან, ცხადია ჩვენთვის აქ რაღაც არხილული კავშირი ყოფილა დამყარებული სიმღერა-მუსიკასა და სკოლას შორის. ამ კითხვებზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა; სიმღერა-მუსიკის შეტანა სკოლებში პრაქტიკულ ნიადაგზე დავაყენოთ: სიმღერა-მუსიკის გამოყენების მხარიდან შევეხოთ.

პირველად უნდა ვიკითხოთ რა არის გიმნაზიაში სწავლის დამთავრება და რას ანიჭებს მოზარდს მისი სწავლა. ჩვენის წარმოდგენით მოზარდის ხოვლმხედველობას გიმნაზიაში ეყრება საძირკველი;

ეხლა ვიკითხოთ: განა სიმღერა-მუსიკას არ მოეპოვება ისეთი ცნობები, რომელნიც გაამდიდრებდნენ მოზარდის ცნობას?

ბევრი, ძალიან ბევრი!

ნუ დაგვავიწყდება, რომ თანამედროვე კაცობრიობის წინსვლამ მუსიკა აღიარა დიდ საშუალებად პროგრესისა.

სწორედ ამ დარგში დადის მოზარდი შეუგნებლად, რაც ჩვენთვის მეტად სამწუხაროა.

იქნებ შემეკითხოთ: რა ცოდნა შეუძლიან მუსიკამ მისცეს მოზარდს? არც კი ვიცი პასუხი ამ კითხვისა საიდან დავიწყო; თვით ცხოვრებაც ყოველ დღე გვაძლევს ამნაირ შეკითხვას.

მახსოვს,—სკოლაში მასწავლებელმა და შემდეგ ოჯახშიც უთქვამთ: მუსიკა წარმოსდგა მუზებისაგანაო; ეს მართალია, მაგრამ როგორ იშვა, რა გზით გადაქცეთდა მუზა მუზიკად, ეს მშვენიერი თქმულება კი, ჩვენთვის დღემდე არავის არ უთქვამს და ვერც გვეტყვის, გარდა მუსიკის შესწავლისა. განა საინტერესო არ იქნებოდა მოზარდისთვის ეს თქმულება?

თანამავალი მუსიკისა არის ჰარმონია. ბევრჯერ შეგხვედრიათ წიგნებში ეს სიტყვა; და განა სასურველი არ არის, რომ მუსიკაში ჩავიხედოთ და იქ ამოვიკითხოთ ამ სიტყვის ფრიად საინტერესო ისტორია?

იქნებ თქვენგანი ბევრი უკრავს ნოტებით როიალზე, პიანინოზე, ფლეიტაზე, ერთხელაც არ გაფიქრებია თქვენში ცნობის მოყვარეობას გაგეგოთ ეს შავი წერტილები, ვინ, სად და როდის შემოიღეს ამ წერტილებით ხმის აღნიშვნა, როგორ წარმოიშვა, რას ნიშნავს და რისთვის არის ეს ხუთი ხაზი გასმული.

აი, თქვენი ოჯახობა რა მშვენივრად უკრავს როიალზედ—პიანინოზედ; თითონ იმასაც უყვარს მუსიკობა და უფრო კი კიდობანივით ის შავი ყუთი, რომლის ხმებსაც ესე უსიტყვოდ ატირებს და აკვნესებს თავის თითებ ქვეშ. შევნიშნავთ, რა სიყვარულით, დაჰქათქათებს იგი ამ საკრავს? და აბა შეეკითხეთ, ან თქვენ თავს ჰკითხეთ, საიდან ჩამოვარდა ეს საკრავი, რომელიც ამდენს სიამოვნებას განიჭებთ თქვენ, თქვენს ნაცნობებს, შვილებს და ნათესავებს? ვინ იყო ეს გაღმერთებული მუსიკოსი ნარედა, რომელსაც სიმებიან ფინაზედ შეასწავლეს დაკვრა სარასვატიმ ბარმუტდიმ წარმოდგენა კი გაქვთ იმ ღვთიურ სიმებიან საკრავისა, რომელსაც ფინას უწოდებდნენ და რომელიც ძალიან წააგავდა აი, ემაგ თქვენი როიალის დეკას?

ვიცი არავითარი და ვერც წარმოიდგენთ, რომ უხსოვარ დროს აზიაში ან დღესაც რაღაც მინაგვარი საკრავი ჰქონდათ.

აი თქვენი ვაჟი სწავლობს პიანოურზედ დაკვრას; თქვენ შვილს აიძულებთ, არაფერს არ ზოგავთ ოღონდ დაკვრა ისწავლოს. ხოლო გითქვამთ როდისმე ამ მოზარდისთვის საიდან დაიბადა ეს ვიოლა—ვიოლინო, რად ერქვა ვიულაციდულა და ფიდულა. განა ბავშვისთვის სასიამოვნო არ იქნება იცოდეს ვინაობა იმ საკრავისა, რომელსაც ის ესე ესაყვარლება?

ჩვენს უვიცობას სიმღერა მუსიკაში სამზღვარი არა აქვს, შეუგნებლად, მეცივით ვმოგზაურობთ მის სამფლობელოში; ხომ გინახავთ, როგორ მზრუნველობს ზოგიერთი გიმნაზიის გამგე, რომ შექმნას გიმნაზიასთან სასულე ორკესტრი. რამდენი ენერგია დახარჯულა, რამდენი დაპირება არა ყოფილა მის დაარსების დროს. ხოლო ერთხელაც, ერთი სიტყვით არავის არ აუხსნია დამკვრელ მოწაფეთათვის, რომ ყველა ეგ თქვენი საკრავი წარმოიშო უბრალო სტვირისგან, რაც იქნებ თქვენც ბევრჯელ გაგიკეთებინოთ ხოფლად. და განა ვისმეს რომ ეამბნო ბავშებისთვის ის მშვენიერი პოეზიით სავსე ლეგენდა ორ საუცხოვო ჩიტზედ და მითიურ ჩინელ მეცნიერზედ ლინგ-ლუნზედ, რომელმაც ეს უბრალო სტვირი გამოიგონა, ურიგო იქნებოდა? მოზარდისთვის მომეტებული იქნებოდა? მე ვამბობ—ეს ლეგენდა მას უნდა სცოდნოდა.

ია კარგარეთელი.
(დასასრული იქნება).

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

სტამბა ალექს კალანდაძისა, „ცხოვრება" გამომცემლის შესახვევი № 4.